

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 011/14<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

*მარიტა გორგილაძე (სტუდენტი)*

### **შეკითხვა**

ეთიკის კომისიაში დაისვა შეკითხვა, ყოფილი ადვოკატის მიერ საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საქმის მასალების კლიენტისთვის დაბრუნების შესახებ. ადვოკატის განმარტებით საქმის მასალები ინახებოდა საადვოკატო ბიუროში, ამიტომ ადვოკატმა შესთავაზა ასლების გადაღება. საქმის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ადვოკატმა ყოფილ კლიენტს თანხა მოსთხოვა ასლების გადაღებისთვის. შესაძლებელია თუ არა ადვოკატმა ყოფილი კლიენტისთვის, საქმის მასალების ასლების გადაღების ხარჯების მოთხოვნით, დაარღვიოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი?

### **ანალიზი**

ყოფილი კლიენტისთვის ადვოკატის მიერ საქმის დოკუმენტების დაბრუნებას ეხება აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი. იგი ავალდებულებს ადვოკატებს მომსახურების დასრულების შემდეგ გადასცენ ყველა სახის დოკუმენტი ყოფილ კლიენტებს. საქმეში არსებული დოკუმენტების მესაკუთრე არის კლიენტი. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ადვოკატს სურს საქმის მასალების შენახვა, იგი ვალდებულია ასლები საკუთარი ხარჯით გადაიღოს, ხოლო ორიგინალი კლიენტს დაუბრუნოს. ვინაიდან საუბარია კლიენტის კუთვნილ დოკუმენტებზე, კლიენტმა ეს ხარჯი არ უნდა გაიღოს.

### **დასკვნა**

თუ ადვოკატი არ დაუბრუნებს კლიენტს საქმის მასალებს და განუცხადებს რომ საქმის მოცულობა არის დიდი, იგი იტოვებს ორიგინალ დოკუმენტებს, ხოლო ასლები საკუთარი ხარჯით უნდა დაამზადოს კლიენტმა. ადვოკატი დაარღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილს.

---

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c91e93f33363.pdf/05%20June%202014%20011.14.pdf>